

შპს „ქლაუდ ცხრა“

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----	6-18

შპს "ქალაქი ცხრა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	778,189	701,290	530,013
არამატერიალური აქტივები	5	877	938	999
საინვესტიციო ქონება	10			
სულ გრძელვადიანი აქტივები		779,066.19	702,228.50	531,012.16
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	97,010	118,220	115,081
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	287,540	230,574	141,233
მარაგები	8	32,438	35,842	30,767
წინასწარ გადახდილი გადასახადები				
სულ მოკლევადიანი აქტივები		416,989	384,636	287,081
სულ აქტივები		1,196,055	1,086,864	818,093
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		263,088	263,088	263,088
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		531,078	451,601	245,830
სულ კაპიტალი		794,166	714,689	508,918
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	76,083	120,746	65,587
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,082.84	120,745.88	65,586.88
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	44,663	25,773	51,406
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	251,256	201,175	176,788
საგადასახადო ვალდებულებები		29,886	24,482	15,395
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		325,806	251,430	243,588
სულ ვალდებულებები		401,888	372,176	309,175
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,196,055	1,086,864	818,093

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს "ქლაუდ ცხრა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის
დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	<u>12</u>	2,271,785	2,028,074
თვითღირებულება	<u>13</u>	(12,210)	(68,770)
საერთო მოგება		2,259,575	1,959,303
სხვა შემოსავლები		10,153	
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>15</u>	(1,904,346)	(1,667,081)
სხვა ხარჯები	<u>14</u>	(7,267)	(5,959)
საოპერაციო მოგება		358,116	286,263
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი	<u>16</u>	(19,740)	(19,475)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		1,164	902
მოგება დაბეგვრამდე		339,540	267,690
მოგების გადასახადი	<u>17</u>	(19,505)	(4,644)
წმინდა მოგება		320,035	263,046
მთლიანი სრული შემოსავალი:		320,035	263,046

დირექტორი:


მთავარი ბუღალტერი: 

შპს "ქლაუდ ცხრა"


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	263,088		451,601	451,601
წმინდა მოგება	-	-	320,035	320,035
სხვა სრული შემოსავალი	-			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	320,035	320,035
გაცემული დივიდენდი	-	-	(240,557)	(240,557)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		-
2020 წლის 31 დეკემბერი	263,088	-	531,078	794,166

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს ქლაუდ ცხრა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქლაუდ ცხრა“ (შემდეგში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 24 სექტემბერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისი საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405063755. კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქუჩის IV მ/რ ფერდობის გაგრძელებაზე (ნაკვეთი N7) /ქ.თბილისი წერეთლის N2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 50%-იანი წილის მფლობელი „შპს ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“ საიდენტიფიკაციო კოდით 404462283

20%-იანი წილის მფლობელი გიორგი გარსევანიშვილი პ/ნ 01017007459 ; 20%-იანი წილის მფლობელი მამუკა მონავარდისაშვილი პ/ნ 01009010464; 10%-იანი წილის მფლობელი გურამი ხუნდაძე პ/ნ 01017023952; კომპანიის დირექტორია თეონა მარტაშვილი პ/ნ 01005011168; 2020 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 22 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018, 2019, 2020 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2019 და 2020 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 და 2020 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო

და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა; ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურება და რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ფიფო მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ელექტრო გადაცემის მოწყობილობები	2-10
მანქანა-დანადგარები	3-20
დამხმარე მოწყობილობები და ხელსაწყოები	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-15
ოფისის აღჭურვილობა	3-10
კომპიუტერული ტექნიკა პერიფერიული მოწყობილობები	3-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლობის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრის 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა -4

ძირითადი საშუალებები

	სხვა აქტივები	მანქანა- დანადგარები	დამხმარე მოწყობილობები და ხელსაწყოები	ოფისის აღჭურვილო ბა	კომპიუტერულ ი ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ლარში								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	107,932	261,239	4,982	82,953	106,282	19,853	116,359	699,598
შესყიდვა	25,131	109,627	428	59,794	64,306	18,021	29,707	
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	
გაუფასურება								
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია								
გადაფასების რეზერვი								
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	133,063	370,867	5,410	142,747	170,588	37,874	146,066	1,006,614
შესყიდვა	110,294	27,695	1,602	24,380	82,088	2,441	11,646	
გასვლა								
გაუფასურება								
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია								
გადაფასების რეზერვი								
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	243,357	398,562	7,012	167,127	252,675.96	40,315	157,712	1,266,760
დაგროვილი ცვეთა								
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	35,659	37,156	1,077	28,010	31,222	7,179	29,282	169,586
ცვეთის ხარჯი	21,316	34,396	1,277	18,040	32,721	5,626	22,362	135,739
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	56,975	71,552	2,354	46,050	63,944	12,805	51,644	305,324
2020 წლის მდგომარეობით	56,975	71,552	2,354	46,050	63,944	12,805	51,644	305,324
ცვეთის ხარჯი	32,714	37,522	1,552	24,227	51,824	7,954	27,455	
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	89,688	109,074	3,906	70,277	115,767	20,759	79,099	488,571
საბალანსო ღირებულება								
2018 წლის ბოლოს	72,273	224,083	3,905	54,942	75,059	12,674	87,077	530,013
2019 წლის ბოლოს	76,088.38	299,314.20	3,055.73	96,696.18	106,644.37	25,068.67	94,422.59	701,290
2020 წლის ბოლოს	153,668.88	289,487.07	3,106.01	96,849.66	136,908.60	19,555.55	78,613.01	778,189

შენიშვნა-5

არამატერიალური აქტივები

ლარი	ლიცენზიები ი	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	1,219	-	1,219
შემოსავლა		-	-
გასვლა			-
2019 წლის ბოლოს	1,219	-	1,219
	ლიცენზიები ი	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია			
2018 წლის ბოლოს	220	-	220
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	61	-	61
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			-
2019 წლის ბოლოს	281	-	281
დაგროვილი ამორტიზაცია			
2019 წლის ბოლოს	281	-	281
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	61	-	61
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			-
2020 წლის ბოლოს	342	-	342
	ლიცენზიები ი	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება			
2018 წლის ბოლოს	999.35	-	999.35
2019 წლის ბოლოს	938.38	-	938.38
2020 წლის ბოლოს	877.41	-	877.41

შენიშვნა-6 ფული და ფულთან გათანაბრებული
ინსტრუმენტები

ლარში

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ფული სალაროში			
ფული საბანკო ანგარიშებზე	97,010	118,220	115,081
	97,010	118,220	115,081

შენიშვნა-7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი
სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	166,624	170,344	82,449
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი			
სხვა მოთხოვნები	120,916	60,230	58,784

287,540	230,574	141,233
---------	---------	---------

შენიშვნა-8 მარაგები

ლარში

31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
32,438	35,842	30,767
32,438	35,842	30,767

საქონელი

სხვა მარაგები

შენიშვნა-9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში

31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
45,668	55,910	73,879
1,700		
	2,295	4,155
203,888	142,971	98,754
251,256	201,175	176,788

სავაჭრო ვალდებულებები

გადასახელი ხელფასები

გადასახდელი პროცენტები

გადასახდელი დივიდენდები

სხვა ვალდებულებები

შენიშვნა-10 საინვესტიციო ქონება

31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
-	-	-
-	-	-

რეალური ღირებულება 1.01.2018

მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან

რეალური ღირებულება 31.12.2018

შენიშვნა-11

სესხები

ლარი

მოკლევადიანი

გრძელვადიანი

ბანკის სესხები

დაკავშირებული მხარეების სესხები

ოვერდრაფტები

სულ სესხები

31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
44,663	25,773	51,406
44,663	25,773	51,406

31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
76,083	120,746	65,587
76,083	120,746	65,587

გრძელვადიანი სესხის დაფარვის ვადაა 2021 წლის 30 აპრილი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12.5%-ს გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლის უძრავი ქონებით.

შენიშვნა-12

ამონაგები

ლარი	31.12.2020	31.12.2019
მომსახურების რეალიზაცია	2,243,854	1,926,167
საქონლის რეალიზაცია	27,931	101,907
	2,271,785	2,028,073.62

შენიშვნა-13

თვითღირებულება

ლარი	31.12.2020	31.12.2019
საქონლის თვითღირებულება	12,210	68,770
	12,210	68,770

შენიშვნა-14

სხვა ხარჯები

ლარი	31.12.2020	31.12.2019
მოგების გადასახადის ხარჯი - კანონმდებლობის თანახმად		
ქონების გადასახადი	7,267	5,959
	7,267	5,959

შენიშვნა-15

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2020	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	654,274	601,470
ცვეთა და ამორტიზაცია	183,308	135,799
ლიცენზიების ხარჯი	141,180	87,876
კომუნალური ხარჯი	277,376	411,262
საგადასახადო ხარჯი		
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	40,842	9,024
საკონსულტაციო ხარჯი	1,800	

ბანკის მომსახურება	11,845	9,165
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,857	4,664
იჯარის ხარჯი	85,604	72,560
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	72,265	54,569
კომუნიკაციის ხარჯები	431,994	280,691
	1,904,346	1,667,081

შენიშვნა-16

ფინანსური ხარჯი

ლარი	31.12.2020	31.12.2019
ბანკის სესხის პროცენტი	19,740	19,475
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი		
სხვა ფინანსური ხარჯები		
	19,740	19,475

შენიშვნა-17

მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე მოგების ხარჯი	19,505	4,644
	19,505	4,644

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

